საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/224 " 3 " ივლისი 2017 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს წერილობით მიმართა სსიპ - იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ და მოითხოვა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების, კერძოდ, ავტომანქანის „HYUNDAI-ELANTRA" (სარეგისტრაციო ნომერი CS-886-SC, გამოშვების წელი 2014, რუხი ფერის, ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო ნომერი KMHDG41CAFU404271) უსასყიდლოდ, უვადოდ სარგებლობაში გადაცემა. „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ აღნიშნული ქმედების განხორციელება მოითხოვს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის №302 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის" მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, მის ბალანსზე არსებული ზემოაღნიშნული ქონება სარგებლობის უფლებით გადასცეს სსიპ - იუსტიციის უმაღლეს სკოლას.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი